



## ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები სილამაზის სალონებისა და ესთეტიკური მედიცინის ცენტრებისთვის

### ძირითადი რეკომენდაციები:

- რიგებისა და ადამიანთა თავშეყრის თავიდან აცილების მიზნით, მომხმარებელთა მიღება უზრუნველყავით წინასწარი დაჯავშნის სისტემის გამოყენებით იმგვარად, რომ არ მოხდეს ობიექტის შიდა სივრცეში მომხმარებლის მოცდა (წინასწარი ჩაწერით მომსახურება);
- მიაწოდეთ ინფორმაცია დასაქმებულებსა და მომხმარებლებს ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- სამუშაო სივრცეში აკონტროლეთ მომხმარებელთა რაოდენობა - საერთო სივრცეში უზრუნველყავით შენარჩუნდეს 5მ<sup>2</sup> ფართზე 1 მომხმარებლის დაშვების შესაძლებლობა (აღნიშნული ფართი მოიცავს ერთ მომხმარებელზე ერთ მომსახურე პერსონალს), ხოლო თითოეულ სამუშაო უბანს შორის დაიცავით უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2 მ). იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა, სივრცეების იზოლირებისთვის შესაძლებელია ისეთი ბარიერების (მოდრავი კედლები/შირმა და სხვ.) გამოყენება, რომელიც ექვემდებარება რეცხვა/დეზინფექციას;
- სამუშაოს დაწყებამდე სალონებში, რომელთაც ჰყავთ 20 და მეტი დასაქმებული, უნდა განხორციელდეს დასაქმებულების/ვიზიტორების ყოველდღიური თერმოსკრინინგი (ობიექტზე შესვლის წინ);
- შესასვლელში განათავსეთ დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- იმ შემთხვევაში, როდესაც პროცედურა ითვალისწინებს მოცდის პერიოდს, განისაზღვროს კონკრეტული ადგილი მომხმარებლის განსათავსებლად, რომელიც დაშორებული იქნება არანაკლებ 2 მეტრის დისტანციით სხვა პირებისგან;
- ანგარიშსწორებისთვის უპირატესობა მიანიჭეთ ბარათს.

### მომხმარებლის მიმართ გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები:

- მომხმარებელი გამოცხადდეს მომსახურების მისაღებად დათქმულ დროსა და ადგილზე (რიგის თავიდან ასაცილებლად);
- არ გამოცხადდეს მომსახურების სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალების გარეშე. სავალდებულოა ნიღბის გამოყენება;
- მომსახურების სივრცეში შესვლისთანავე ჩაიტაროს ხელის ჰიგიენა.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, როდესაც სასალონო მომსახურება ითვალისწინებს სახის, ხელის ან/და ფეხის პროცედურას, ხდება მხოლოდ ჩარევის ზონის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალების მოხსნა (მაგ. სახის პროცედურების დროს მოიხსნას ნიღაბი). პროცედურის ჩატარების დროს დაცული უნდა იყოს მომხმარებლებს შორის 2 მეტრიანი დისტანცია, ხოლო მომსახურების გამწევი პირი ალჭურვილი უნდა იქნას სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

- დაიცვას ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული წესები და პრევენციული ნორმები.

## დამსაქმებლის ვალდებულებები:

- განათავსოს თვალსაჩინო ადგილას განცხადებები COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- სალონის შესასვლელში, დასაქმებულებისა და ვიზიტორებისთვის, განათავსოს ხელის ანტისეპტიკური საშუალებები;
- უზრუნველყოს დასაქმებულები და ვიზიტორები ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალეელი ერთჯერადი ხელსახოცები)
- უზრუნველყოს სამუშაო ადგილები ერთჯერადი ხელსახოცებითა და სუფთა პირსახოცებით;
- უზრუნველყოს დასაქმებულები, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:
  - იმ პროცედურების წარმოებისას, როდესაც შესაძლებელია კონტაქტი სისხლთან და ბიოლოგიურ სითხეებთან ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენება.
  - იმ პროცედურების წარმოებისას, როდესაც შესაძლებელია სისხლისა და ბიოლოგიური სითხეების გაფრქვევა, დამცავი ტანსაცმელისა და სათვალის გამოყენება.
  - ნიღბებით ნებისმიერი პროცედურების დროს. ნიღბების შეცვლა უნდა განხორციელდეს დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 4 საათში ერთელ.
- მიაწოდოს ინფორმაცია დასაქმებულებს ინდივიდუალური დაცვისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მათ შენახვა/მოხსნაზე;
- უზრუნველყოს გამოყენებული თეთრეულის ცვლისა და რეცხვის მართებული რეჟიმის დაცვა.
- სამუშაო ადგილზე უზრუნველყავით ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება;
- უზრუნველყოს სამუშაო პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის დეზინფექცია/სტერილიზაცია „ტექნიკური რეგლამენტის - საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილების შესაბამისად.
- პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყოს სამუშაო სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია. ბუნებრივი ვენტილაციის შეუძლებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოს ხელოვნური ვენტილაცია გარედან შემოსული ჰაერის გაზრდილი კონცენტრაციით;
- უზრუნველყოს დასაქმებულთა/მომხმარებელთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა, თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინოს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყოს ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;
- მომსახურებისთვის ანგარიშსწორების მაგიდა უზრუნველყოს გამჭვირვალე ბარიერით, უკიდურეს შემთხვევაში დასაქმებული სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებთან ერთად, აღჭურვის დამცავი ფარით;
- ყოველი სამუშაო დღის შემდგომ უზრუნველყოს სამუშაო სივრცის სველი წესით დალაგება სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით.
- დამსაქმებელი ვალდებულია ამ რეკომენდაციების შესრულებაზე განახორციელოს კონტროლი.

## დასაქმებულთა ვალდებულებები:

დასაქმებულებმა სამუშაო ადგილზე უნდა უზრუნველყონ შემდეგი ღონისძიებების დაცვა:

- ხელების ადეკვატური ჰიგიენა (სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებების გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა. ხილული დაბინძურების, ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას ხელების წყლითა და საპნით დაბანა სავალდებულო წესით);
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სრული კომპლექტის გამოყენება სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით;
- შესაბამისი ასეპტიკური პრაქტიკა;
- სტერილიზაციისა და დეზინფექციის კარგი პრაქტიკა;
- თითოეული სამუშაო ადგილის ზედაპირებისა და აღჭურვილობის დასუფთავება, წმენდა, დეზინფექცია ყოველი მომხმარებლის მიღებამდე და მის შემდგომ;
- ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებისაგან თავის შეკავება, მუშაობის პერიოდში თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

 15 05

 116 001

**StopCoV.ge**